პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 274 (9434) | ხუთშაბათი, 20 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

საქალაქო და რაიონული პარტიული აქტივის კრებები—მოწინავე.

მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის (1-ლი გვერდი).

აღვკვეთოთ გადაწყვეტილებებისადმი ფორმალური დამოკიდებულება—«პრავდის» 19/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბათუმის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება (მე-2 გვერდი).

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად. გ. ბრეგაძე. ლენინ—სტალინის პარტია კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია (მე-2 გვერდი).

მე-3 გვერდი).

გ. მიქელაიშვილი—სანიმუშოდ ჩაბარებული ცოცხრუსების მოსავლის აღება (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ს. აბშილავა—დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პავლოვის მოძღვრების განვითარება (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთისა და რესპუბლიკური ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საქალაქო და რაიონული პარტიული აქტივის კრებები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ, რომელიც უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, შეაჯამა XVIII ყრილობის დროიდან განვლილ პერიოდში ბრძოლისა და გამარჯვებათა შედეგები, განსაზღვრა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.

კომუნისტები, მშრომელთა ფართო მასები უდიდესი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ამხანაგ სტალინის გენიალურ ნაშრომებს. კომუნიზმის მშენებლობის ეს საპროგრამო დოკუმენტები საბჭოთა ადამიანებს ახალი წარმატებებისათვის, ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეხუთე სტალინური ხუთწლედის მიერ დასახული დიდი ამოცანები მოითხოვენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას. საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ამხანაგმა გ. მალენკოვმა თქვა:

„...შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. უნდა ვაღიაროთ, რომ პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არის ნაკლოვანებანი და შეცდომები, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ჯერ კიდევ ცოტა როდია უარყოფითი, ხოლო ზოგჯერ ავადმყოფური მოვლენები, რომლებსაც უნდა ვიცნობდეთ, ვაუშკარავებდეთ იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ, დავძლიოთ ისინი და უზრუნველვყოთ შემდგომი წარმატებითი წინსვლა. ერთ-ერთი ასეთი ასპექტი ... ნაკლია ის, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ჩვენი მუშაკების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ სუსტია პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

ჩვენში ცოტა როდია პარტიის ისეთი წევრი, რომელიც ფორმალურად, პასიურად ეკიდება პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. სიტყვით ეთანხმებიან რა პარტიის გადაწყვეტილებებს, ასეთი კომუნისტები სინამდვილეში მაუდგილენ დებენ მათ, გულგრილად ეკიდებიან დავალებულ საქმეს, ნაკლებად ზრუნავენ და ნაკლებ ენერგიას ხარჯავენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება.

ამგვარ მუშაკთა რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ონეგის ხე-ტყის ტრესტის ხელმძღვანელები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტრესტი აღმოჩენილია ყველაზე თანამედროვე ტექნიკით, იგი წლიდან წლამდე ფუშავს ხე-ტყის დამზადების სახელმწიფო გეგმებს, ხოლო მიმდინარე წელს კიდევ უფრო ცუდად მუშობს. ტრესტის მმართველი კომუნისტი ამხ. პიეოვი პასიურად ეკიდება პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებას. მან, მაგალითად, არ მიიღო საჭირო ღონისძიებანი, რათა განეხორციელებინა მითითებანი ხე-ტყის დამაზადებელი მუშებისათვის ბინების მშენებლობის შესახებ, სატყეო უბნებში სასადილოების, მაღაზიების, სამკერვალო სახელოსნოების მოწყობის შესახებ. ეს სამეურნეო მუშაკი, რომელიც უხვად იღებდა დაპირებებს, შეურიგდა ხე-ტყის დამზადების გეგმის ქრონიკულად ჩაფუშვას.

უნდა ითქვას, რომ პარტიის არხანგელსკის საოლქო კომიტეტიც ყოველ წელს იხილავს ხე-ტყის დამზადების გეგმის არადამაკმაყოფილებლად შესრულების საკითხს, მაგრამ „გადაჭრით არ იბრძვის იმათ წინააღმდეგ, ვინც ფორმალურად ეკიდება პარტიის დირექტივებს, სუსტად ზრდის კადრებს დავალებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. საოლქო პარტიულ კონფერენციაზე საოლქო კომიტეტი ამისათვის სერიოზულად გააკრიტიკეს, მაგრამ, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, მას ჯერჯერობით ამ კრიტიკიდან ჯეროვანი დასკვნები არ გაუკეთებია.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი ფორმალური დამოკიდებულება, მათი შესრულებისადმი პასიური დამოკიდებულება ისეთი მანკიერებაა, რომელიც ულმობლად უნდა აღმოვფხვრათ. პარტიას სჭირდება არა დაბავსებული და გულგრილი მოხელეები, რომლებიც პირად მყუდროებას საქმის ინტერესებზე მაღლა აყენებენ, არამედ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის დაუცხრომელი და თავდადებული მებრძოლები, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის აქტიური ბრძოლა პარტიის წევრის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, რომელიც XIX ყრილობამ მიიღო, ნათქვამია, რომ პარტიის წევრი მოვალეა „იბრძოლოს პარტიული მებრძოლი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. პარტიის წევრისათვის საქმაო არ არის მარტო ის, რომ ეთანხმებოდეს პარტიულ გადაწყვეტილებებს, პარტიის წევრი მოვალეა იბრძოლოს ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნისტების პასიური და ფორმალური დამოკიდებულება პარტიის გადაწყვეტილებებისადმი ასუსტებს პარტიის ბრძოლისუნარიანობას და ამიტომ შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან“.

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ და ბოროტ გამოვლინებას წარმოადგენს ის, რომ ზოგიერთი მუშაკი მალავს სიმართლეს მათდამი დაკვეთილ-დავალებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში საქმის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ და ალამაზებს მუშობის შედეგებს, ასეთი უპასუხისმგებლობა ხელს უშლის იმას, რომ დროზე გამოვაშკარაოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და ავადმყოფური მოვლენები, უზრუნველვყოთ პარტიისა და მთავრობის დირექტივების ზუსტად და განუზრელად განხორციელება.

საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესების მტკიცედ დაცვის ნაცვლად ცალკეული მუშაკები, როგორც ეს აღინიშნა ნოვოსიბირსკის, აზმაილისა და ზოგიერთი სხვა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებებზე, პარტიული და სახელმწიფო კანონების დარღვევის გზას ადგებიან. ჯერ კიდევ არიან მუშაკები, რომლებსაც უყვართ სინამდვილის შელამაზება იმით, რომ მინაწერებს აკეთებენ პროდუქციის გამოშვების ანგარიშებში. მაგალითად, იზმაილში ქალაქის რამდენიმე საწარმოში გამოაშკარავდა თვალსაზრისისა და მინაწერის გაკეთების ფაქტები.

სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია არ ეწევა ჯეროვან ბრძოლას თვალსაზრისვთვა, მატყუარათა, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ბოროტ დამრღვევთა წინააღმდეგ. გაკვირვებას იწვევს მოლოტოვის ოლქის პარტიის უგულეურალსკის საქალაქო კომიტეტის პოზიცია. საქალაქო კომიტეტმა და მისმა მდივანმა ამხ. გუბანოვმა არა თუ პასუხისგებაში არ მისცეს ტრესტ „სტალინქვანახშირის“ მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი კომუნისტი იოფინი, რომელიც ატყუებდა სახელმწიფოს, არამედ მფარველობაც კი გაუწიეს მას. უნდა ითქვას ეს ერთადერთი შემთხვევა როდია, რომ აღნიშნული საქალაქო კომიტეტი ხელს უშლის პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ბოროტ დამრღვევთა მხილებას.

პარტიისა და მთავრობის მითითებებისადმი პასიურ, ფორმალურ დამოკიდებულებას ზოგიერთი მუშაკი იქამდე მიჰყავს, რომ ფიქრობს თითქოს საბჭოთა კანონები მისთვის სავალდებულო არ არის, წარმოუდგენია, რომ ჩვენ თითქოს გვაქვს ორი დისციპლინა: ერთი—რიგითი ადამიანებისათვის, ხოლო მეორე—ხელმძღვანელთათვის. ასეთი „ხელმძღვანელები“ ფიქრობენ, რომ მათთვის ყველაფერი ნებადართულია, რომ მათ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ სახელმწიფო და პარტიულ წესებს, დაარღვიონ საბჭოთა კანონები, უწესობა და თვითნებობა ჩადინონ. პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა ამხილონ და მკაცრად დასჯონ ასეთი, უკაცრავად პასუხია, ხელმძღვანელი კომუნისტები.

ალმა-ატის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამასწინანდელ კრებაზე კრების მონაწილეებმა მოიყვანეს ასეთი ფაქტი. ყაზახეთის მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორმა ჯანგალიევმა და მისმა მოადგილემ კარიბაევმა ინსტიტუტი თავიანთ სამფლობელოდ გადაქცეს და აკეთებენ იქ ყველაფერს, რასაც მათი „ბარცხენა ფეხი მოისურვებს“. დირექტორი და მისი მოადგილე ანიავებენ სახელმწიფო სახსრებს, იტაცებენ პროდუქტებს, გაიხრწნენ ყოფაცხოვრებაში, აბშობენ კრიტიკას. მოკლე ხანში მათ ინსტიტუტიდან გაამეცეს ათზე მეტი მეცნიერი მუშაკი, რომლებიც ამხილებდნენ გათავხედებულ დიდკაცებს. კომუნისტებმა არაერთხელ მისცეს სიგნალი ყაზახეთის პარტიულ ორგანოებს, რომ ინსტიტუტში ყველაფერი რიგზე არ არის. ალმა-ატის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე დელეგატები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებამ დაამუავა მასალები ინსტიტუტის ხელმძღვანელთა უღირსი საქციელის შესახებ.

„პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა,—ნათქვამია ბაკურიანის კომუნისტური პარტიის წესდებაში, — **დიდი ბოროტებაა, რომელიც ზიანს აყენებს პარტიას და ამიტომ შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან“.**

პარტიის წევრები და მით უფრო ხელმძღვანელი კადრები მოვალენი არიან იყვნენ მუდამ და ყველაფერში, დიდსა და მცირე საქმეში, გულმართლობისა და პატიოსნების, თავისი პარტიული და სახელმწიფოებრივი მოვალეობის განუზრელად შესრულების მაგალითი. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან განუწყვეტელივ ზრდონ კომუნისტები, მთელი ჩვენი კადრები პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, დაუნდობლად აღმოფხვრან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი უპასუხისმგებლობა, ფორმალური დამოკიდებულება, არაგულმართლობა და არაკეთილსინდისიერება.

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, შესრულების კონტროლი და შემოწმება, კადრების სწორი შერჩევა, განაწილება და აღზრდა. თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის ფართოდ გაშლა, კრიტიკის ჩაბმობთა და იმათ წინააღმდეგ ბრძოლა, ვინც მათ ხელს უშლიან, შესრულების კონტროლისა და შემოწმების ყოველი ღონისძიებით გაძლიერება ხელმძღვანელობის მთელ სისტემაში საშუალებას მოგვცემს დროზე გამოვიყვანოთ მზის სინათლეზე პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევნი, დროზე ვამხილოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, შეცდომები, ავადმყოფური მოვლენები.

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება იმის საწინდარია, რომ ახალ წარმატებებს მივაღწევთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მეხუთე სტალინური ხუთწლედის დიადი პროგრამის შესრულებაში.

მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის

★

სამგზავრო სადგურის კოლექტივის გამარჯვება

ბათუმი. (საკ. კორ.). კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთ-ერთი პირველი ჩაება რკინიგზის ბათუმის სამგზავრო სადგურის (უფროსი გ. შენგელაია) კოლექტივი და თვალსაჩინო გამარჯვებებს მიაღწია.

სადგურში უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება და სასადგურო მეურნეობის მოვლა-პატრონობის საქმე.

ამ დღეებში სადგურის მუშაკებმა სასიხარულო ცნობა მიიღეს: მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით სადგურის კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა, საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის გზათა სამინისტროს მეორე ფულადი ჯილდო—50 ათასი მანეთი მიიღო.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს სადგურის უფროსმა მორიგემ ლ. ჩიტიამ, მორიგეებმა ე. გუგნიაევამ და ქ. გეგუჩაძემ, ვაგზლის მორიგეებმა ზ. ბერიძემ, შ. ჭყონიამ, ვ. იბრაგიმოვამ, მეისრეებმა ვ. დიასამიძემ და მ. გუჯაბიძემ, დამლაგებლებმა ნ. ნიკიტინამ, ი. გაგულაშვილმა და სხვ.

გაადიდეს ვვირთზიდვა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზესტაფონის რკინიგზის სადგურის კოლექტივმა თვალსაჩინოდ გაუმჯობესა მუშაობა და ვაგონების დატვირთვის ოქტომბრის გეგმა 137,1 პროცენტით გაანაღდა, ხოლო გადმოტვირთვისა — 100 პროცენტით.

გეგმების შესრულებაში თავი გამოიჩინა სადგურის მორიგის ა. ხუსკოვაძის ცვლამ.

უკანასკნელ თვეებში სადგურის კოლექტივმა შესამჩნევად გაუმჯობესა აგრეთვე მგზავრთა კულტურული მომსახურება.

ზესტაფონის რკინიგზის სადგურის კოლექტივი, რომელიც ხაშურისა და სამტრედიის რკინიგზის სადგურებს ეჯიბრება, იბრძვის შეჯიბრებაში გამარჯვების მოპოვებისათვის.



მეხუთე სტალინური ხუთწლედის მოწინავე ადამიანები. **სურათზე:** (მარცხნივ) სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ჩქარხანი ხარატი სტახანოველი ი. ჭუმბურიძე, რომელმაც მიმდინარე წლის ათ თვეში სამი წლის ნორმა გამოიმუშავა; (მარჯვნივ) საელმავლო დეპოს სამგზავრო მატარებლის ლენინელი უფროსი მემანქანე შ. ბითაძე, რომლის ელმავალი მუდამ სანიმუშო მდგომარეობაშია.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

რუსთაველ ლითონმსხმელებთან შეჯიბრებაში

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სარემონტო-სამსხმელო საამქროს მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საფასონო-სამსხმელო საამქროს კოლექტივთან მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. ამ დიდად პასუხსაგები შეჯიბრების დაწყებას ქუთაისელი ლითონმსხმელები კარგად მომზადებული შეხვდნენ. ამჟამად სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება ქუთაისელ და რუსთაველ ლითონმსხმელებს შორის გაფორმებულია მარტო ნორმბრისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემდგომ თვეებში შეჯიბრება არ გაგრძელდება და ნოემბრისათვის დადებული ხელშეკრულება განახლებული არ იქნება.

საავტომობილო ქარხნის სარემონტო-სამსხმელო საამქრო ნოემბრის საწარმოო დავალებათა შესრულებას მნიშვნელოვანი წარმატებებით შეუდგა. მან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებები ოქტომბერში დიდი გადაჭარბებით შეასრულა. განსაკუთრებით ისახელა თავი საამქროს საყალიბო განყოფილებამ, რომელსაც ა. დანელია ხელმძღვანელობს. მეყალიბეები—ვ. ლაღაძე, ა. არახამია, გ. ფუტკარაძე, შ. ჯოჯუა, ვ. კეთილაძე, კ. აბულაძე, მ. სალაძე და სხვები საწარმოო დავალებებს 170-200 პროცენტით ასრულებენ.

უკანასკნელ თვეებში დიდად გაუუმჯობესა მუშაობა თუჯსადნობმა განყოფილებამ, რომელსაც ლითონდნობის ოსტატი ა. ლომთაძე ხელმძღვანელობს.

საამქროს კოლექტივი მტკიცედ დარაზმული ჩაება რუსთაველ ლითონმსხმელებთან შეჯიბრებაში და თავგამოდებით იბრძვის გამარჯვებისათვის.

ინჟინერი ა. ბერუჩაშვილი,
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სარემონტო-სამსხმელო საამქროს უფროსის მოადგილე.

★

მაკარონის ზეგეგმითი ნაწარმი

სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერად მუშაობს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის მაკარონის ფაბრიკა, რომელიც თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს. ქარხნის კოლექტივი, რომელმაც წლიური გეგმა ვადამდე დიდი ხნით ადრე შეასრულა, ჩაება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავისათვის წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვა 5 ათასი ტონა მაკარონის ნაწარმი.

ნაკისრი ვალდებულება ქარხნის კოლექტივმა სასახელოდ გაანაღდა, გამოუშვა 622 ტონა მაკარონის ნაწარმი, დაზოგა 4 ტონა ფქვილი, 15 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და ათასობით კილოგრამი საწვავი.

ვაგონშემკეთებელთა მილწევები

ხაშური. (საკ. კორ.). ათ თვეში კაპიტალური შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 16 ვაგონი, სამუალო და წლიური შეკეთებიდან — 35, გასწიეს — 130 ათასი მანეთის ეკონომია, სახელმწიფოს მისცეს 110 ათასი მანეთი მოგება და 171 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, — ასეთი მაჩვენებლებით შეხვდა ხაშურის სავაგონო დეპოს კოლექტივი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს.

დეპოს შემდუღებელი ს. კილასონია, მღებავი ნ. არჯევნაძე, ხარატი უ. ბადრიშვილი, დურგალი რ. ქარუხნიშვილი, ზეინკალი ვ. კვიტინაძე და მექვაბე დ. ქიმერიძე გამომუშავების ნორმებს 250-300 პროცენტით ასრულებენ. დეპოს 40 მუშამ ათ თვეში წლიური გეგმა გაანაღდა და ამჟამად ისინი 1953 წლის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას. მაღალი საწარმოო აღმავლობით მუშაობენ ხაშურელი მევაგონეები ნოემბერშიც.

ოქტომბრის საწარმოო მაჩვენებლებით დეპოს კოლექტივი კვლავ გამარჯვებული გამოვიდა და მიეკუთვნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და საგზაო კომიტეტის გარდამავალი დროშა.

აღვკვეთოთ გადაწყვეტილებებისადმი ფორმალური დამოკიდებულება

„პრავდის“ 19/XI მოწინავე

○

კომუნისტური მშენებლობის დიდი ამოცანები, რომლებიც პარტიის XIX ყრილობამ დასახა, მოითხოვენ პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომ აღმავლობას, თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაშლას, პარტიის საქმისათვის კომუნისტების პასუხისმგებლობის გადიდებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას. ჩვენი პარტიის ძალას შეადგენს მისი რკინისებური დისციპლინა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, კომუნისტთა მაღალი აქტივობა, მათი მზადყოფნა თავდადებით და ბოლომდე იბრძოლონ პარტიის ხაზის განხორციელებისათვის.

ღონისძიებები, რომლებიც პარტიამ განახორციელა შინაპარტიული დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისათვის, პარტიულ ორგანიზაციებს დაეხმარა აემაღლებინათ თავიანთი მუშაობის დონე. გადიდდა პარტიის წევრთა აქტივობა და ინიციატივა, განმტკიცდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, გაძლიერდა პარტიული მასების კონტროლი პარტიული ორგანოების საქმიანობისადმი.

მაგრამ, როგორც ამხ. გ. მ. მალენკოვი ამბობდა პარტიის XIX ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. უნდა ვაღიაროთ, რომ პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არის ნაკლოვანებანი და შეცდომები, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ჯერ კიდევ ცოტა როდია უარყოფითი, ხოლო ზოგჯერ ავადმყოფური მოვლენები, რომლებიც უნდა ვიცოდეთ, ვაუშკარავებდეთ იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ, დავძლიოთ ისინი და უზრუნველვყოთ შემდგომი წარმატებითი წინსვლა.

ერთ-ერთი ასეთი ასპექტი ... ნაკლია ის, რომ ... ჩვენი ... ერთ ნაწილში ჯერ კიდევ სუსტია ... დისციპლინა.

**ჩვენში ... ეკიდება ... ეკიდებიან ... ნაკლებ ... ამისათვის, რომ ... ამოცანების ... ამ ... ამ ... ეკიდება ... ეკიდებიან ... ეკიდებ ... ეკიდ ... ეკ ... ეკ ... ეკ

ბათუმის პარჯიული ორგანიზაციის აქტივის კრება

ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შედეგების შესახებ მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ცინცაბაძის მოხსენება.

მომხსენებელი ლაპარაკობს ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული ისტორიული სიტყვისა და ყრილობის წინა დღეებში გამოქვეყნებული დიდი ბელადის კლასიკური ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელება, — ამბობს ამხ. ცინცაბაძე, — კიდევ უფრო მდიდარსა და ძლევამოსილს გახდის ჩვენს ქვეყანას. ახალ ხუთწლედში მიღწეულ იქნება საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობა. დიდი ამოცანები დგას ახალ ხუთწლედში საბჭოთა აჭარის მშრომელთა წინაშე. მათ უნდა მიაღწიონ სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვან ზრდას, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

გამოასწორეს რა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ჩამორჩენა, აჭარის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და სახელმწიფოს რამდენიმე მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს. მაგრამ ჩვენში კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები, — განაგრძობს მომხსენებელი, — ასეთებია, მაგალითად, ციტრუსკომბინატი, სამკერვალო ფაბრიკა, მუხაესტატეს ჩაის ფაბრიკა, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები და სხვები, რომლებიც თავიანთი ცუდი მუშაობით უკან სწევენ აჭარის მრეწველობის მუშაობის საერთო მაჩვენებლებს. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ღრმად არ სწვდებიან საწარმოს მუშაობას, არ იღებენ ქმედითს ზომებს იმისათვის, რომ ჩამორჩენილი საწარმოები მოწინავეთა დონემდე წამოსწიონ.

ილაპარაკა რა პარტიის XIX ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანებზე, ამხ. ცინცაბაძემ ყურადღება გაამახვილა აჭარაში ჩაისა და ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, აჭარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 27 ოქტომბრისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა აჭარაში მეთამბაქოობის, მევენახეობის, მეხილეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების, აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე, ილაპარაკა სოფლის ელექტროფიკაციის ამოცანებზე და აღნიშნა, რომ ხუთწლედის ბოლოს ელექტროფიცირებულ უნდა იქნას აჭარის კოლმეურნეობათა 60 პროცენტი.

ამხ. ცინცაბაძემ აქტივის კრებას მოახსენა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად, კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის.

გადავიდა რა კადრების შერჩევისა და აღზრდის საკითხებზე, ამხ. ცინცაბაძემ აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში საგრძნობი მუშაობაა გაწეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების შემოწმებული და უნარიანი კადრებით განმტკიცებისათვის.

ბათუმი სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება. ძლიერდება საბინაო მშენებლობის ტემპი. ჩვენი ვალია, თქვა მომხსენებელმა, შევასრულოთ ამხ. ა. მგელაძის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს დროში გადავაქციოთ ბათუმი საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად.

XIX ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დააყენა კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების, მასებში იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების ამოცანა. ამ მხრივ აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ დროს მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არის იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობის ცალკეული ფაქტები. პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა გადაჭრით გაუმჯობესონ მშრომელთა კომუნისტური აღზრდა.

ამხ. გ. ცინცაბაძის მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივის წარმატებათა შესახებ ილაპარაკა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. მაქაცარიამ. მენავთობეებმა სასახელოდ გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა 13 დღით ადრე, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 17 დღით ადრე შეასრულეს.

— ბათუმის საქალაქო და აჭარის საოლქო პარტიულ კონფერენციებზე, — ამბობს ორატორი, — უხეში შეცდომებისა და მუშაობის ჩაშლისათვის სამართლიანად იქნენ გაკრიტიკებული საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი ნ. ნიჟარაძე და მ. კალანდაძე. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, მაგრამ ისინი ერთხელაც არ გამოსულან თავიანთი შეცდომების აღიარებით.

ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის უფროსი ამხ. შ. სიმონიშვილი ლაპარაკობს რომ, მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, ხშირია გემებისა და ვაგონების მოცდენა, მტვირთავთა ცალკეული ბრიგადები ვერ ასრულებენ საწარმოო დავალებებს. შეთანხმებულად არ მუშაობენ ნავსადგურისა და რკინიგზის სატვირთო სადგურები, რის გამო ჭიანურდება ტვირთების დამუშავება და დანიშნულებისამებრ მათი გაგზავნა.

ბერიას სახელობის ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ვ. ტაბაღუამ თქვა, რომ მანქანათმშენებლები, რომლებმაც გაგრძელებით შეასრულეს ოქტომბრის გეგმა და 383 ათასი მანეთით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება, ამ დღეებში ახალი ენერგიით მუშაობენ წლიური გეგმის განაღდებისათვის. მან პარტიის საქალაქო კომიტეტისაგან მოითხოვა მეტი დახმარება ლექტორთა და პროპაგანდისტთა ძალებით.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ა. თევზაძე დაწვრილებით შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც წლების განმავლობაში ახასიათებდა განყოფილების მუშაობას. მოდუნებული იყო კრიტიკა, ადგილი ჰქონდა იდეურად მიუღებელ და მხატვრულად სუსტ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას. უიდეო ნაწარმოებებია კ. რუსიძის რომანები „ყვავილ დედე“ და „გამარჯვება“, მხატვრულად სუსტია პ. ლორიას „ალისფერი ფილა“. ნ. მალაზონიას ცალკეულ ლექსებში გაიდეალებულია წარსული. მხატვრულად დაბალი ღირსებისაა ფ. ხალვაშის ზოგიერთი პოემა. სერიოზული ნაკლოვანებებია აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობაშიც.

კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ტუსკიამ ილაპარაკა იმ დიდ ამოცანებზე, რომლებსაც აკისრებს კომკავშირის საქალაქო კომიტეტს და პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოსულმა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილმა მდივნებმა ამხ. ნ. ნიკარაძემ და მ. კალანდაძემ განაცხადეს, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან იმ შეცდომებისათვის, რომლებიც აჭარის საოლქო კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ დაუშვა, რომ ისინი პრაქტიკული მუშაობით გაამართლებენ პარტიის ნდობას.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. მეგრელიშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა უკანასკნელ თვეებში საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე, რაც მიმართული იყო ბათუმის პარტიული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელობის მტრული საქმიანობის შედეგების აღმოფხვრისაკენ. ნაკლოვანებები, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩვენს მუშაობაში, თქვა მან, გვავალებს, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, გავაძლიეროთ სიფხიზლე, დაუნდობლად ვიბრძოლოთ სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა გადაჭრით გაძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მობილიზაცია უყონ კომუნისტებს და ყველა მშრომელს ყრილობის მიერ დასახული უდიდესი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

პარტიული აქტივის კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინისადმი. (საკ. კორ.).

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ოთხ დღეს იყო სტუმრად გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოსულია უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით. დელეგაცია, რომელსაც კარლ შირდეკანი მეთაურობს, გაეცნო თბილისის ისტორიულ ადგილებსა და ღირსშესანიშნაობებს, იყო ქალაქის საწარმოებში, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, საბავშვო დაწესებულებებში.

დელეგაციაში შემავალ გერმანელ მეცნიერთა ჯგუფი იყო საქართველოს სსრ . მეცნიერებათა აკადემიაში, ესაუბრა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს და საქართველოს სხვა მეცნიერებს.

დელეგაცია გაემგზავრა ქალაქ სუხუმში. სტუმრები იყვნენ სუხუმის რაიონის სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში.

საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში დელეგაცია გაეცნო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს.

სტუმრები იყვნენ ამხანაგ სტალინის სამშობლო ქალაქ გორში, დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა სტალინმა.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა დარბაზობა. დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

18 ნოემბერს დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაფრინდა. სტუმრები აეროდრომზე გააცილეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. გოგუაძემ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა. (საქდესი).

შეხვედრა სოციალისტური შრომის გმირებთან

ამ დღეებში ბერიას სახელობის სუხუმის სუბტროპიკული ტექნიკუმის სტუდენტებს ესტუმრნენ სოციალისტური შრომის გმირები, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, სიმინდისა და ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები ჩოკოლი ქვაჩახია და ნათელა ბულისკირია, აგრეთვე სუხუმის რაიონის სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, ცნობილი მევენახე ივანე მირცხულავა.

გმირები დაწვრილებით ესაუბრნენ სტუდენტებს იმ მდიდარ გამოცდილებაზე, რომლის გამოყენებით ისინი აღწევენ სიმინდის, ჩაისა და ყურძნის სარეკორდო მოსავლის მიღებას.

წერილები რედაქციაში

„გამოუსწორებელი“ საქმე გუნდგრილი ხელმძღვანელების ხელში

წელიწადზე მეტია, რაც ქ. რუსთავში ამუშავდა პურის ახალი ქარხანა, რომელიც აღჭურვილია ახალი ტექნიკით. ამ ხნის განმავლობაში ქარხნის ხელმძღვანელობამ ვერ მიაღწია იმას, რომ რაციონალურად გამოეყენებინა არსებული შესაძლებლობანი.

ქარხნის კოლექტივს ნაკლებად ეხმარებიან ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები. ერთი წლის მანძილზე პურის ქარხანაში ცუდი მუშაობისათვის სამჯერ შეცვალეს დირექტორი. რამდენჯერმე ძირეულად შეიცვალა ქარხნის მომსახურე პერსონალიც, მაგრამ საქმეს გამოსწორება არ დაეტყო. ქარხნიდან სარეალიზაციოდ გამოტანილი პური ან ცომია ან ნაპირებშემომწვარი. ამას ისიც ემატება, რომ „რუსთაველაჭრობას“ მოუწესრიგებელი აქვს ქარხნიდან მაღაზიებში გამომცხვარი პურის გადაზიდვა. ამისათვის გამოყოფილია მხოლოდ ორი ძველი ავტომანქანა, რომლებიც გადაუხურავია და სათანადოდ არ არის მოწყობილი. ამის გამო პურის ტრანსპორტირება ხშირად ანტისანიტარულ პირობებში ხდება. იმავეთი როდია ისეთი ფაქტებიც, როცა მაღაზიები უკან არ უბრუნებენ მდარე ხარისხის პურს და ჰყიდიან.

როგორც ჩანს, პურის ქარხნის ახალი ხელმძღვანელებიც კვლავ გადაუჭრელ პრობლემად თვლიან პურის ცხობის ტექნოლოგიის გაუმჯობესებას.

ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის მცხოვრებთა ინტერესები მოითხოვს ამ საქმის სასწრაფოდ მოგვარებას.

შ. ქაფიანიძე,
ნ. ქვრივიშვილი.

საქმე, რომელიც უნდა მოწესრიგდეს

ვისაც ლანჩხუთიდან თბილისში უმგზავრია, დიდხანს არ დაავიწყდება იქ განცდილი უხერხულობა. სადგურ ლანჩხუთში თბილისისაკენ მიმავალი მხოლოდ ერთი სამგზავრო მატარებელი გამოივლის. ამიტომ გასაგებია, რომ ლანჩხუთში ბევრი მგზავრი იყრის თავს. მაგრამ იმის გამო, რომ ბილეთების გაყიდვა ქობულეთისა და ნატანების სადგურებზეა დამოკიდებული, თბილისში მიმავალი ლანჩხუთელი მგზავრები ხშირად უბილეთოდ რჩებიან.

ყოველივე ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სადგურ ლანჩხუთში გასასყიდად რატომღაც გამოყოფილი არა აქვს ბილეთების გარკვეული რაოდენობა.

რკინიგზის სამმართველომ უნდა იზრუნოს სადგურ ლანჩხუთიდან თბილისამდე მგზავრობისათვის ნორმალური პირობების შექმნისათვის.

ე. შევარდნაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

სასოფლო-სამეურნეო აჩეზების წესდების დარღვევისათვის

რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ახმეტის რაიონის სოფელ ყვარელწყალის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. თორღოშვილი, ბუხჰალტერი ვ. ბურკაშვილი და სოფლის მეურნეობის განყოფილების ვეტექიმი გ. შაშიაშვილი უხეშად არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, რის შედეგად ნიავდება საკოლმეურნეო ქონება. წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტს. პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტი გვატყობინებს, რომ პარტიის ახმეტის რაიკომის ბიუროს დადგენილებით აღნიშნული კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. თორღოშვილი და ბუხჰალტერი ვ. ბურკაშვილი საკოლმეურნეო ქონების განიავებისა და მითვისებისათვის მოხსნილი არიან თანამდებობიდან და მიცემული არიან პასუხისგებაში, ხოლო სოფლის მეურნეობის განყოფილების ვეტექიმი გ. შაშიაშვილი მოიხსნა თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა პარტიის წევრობის კანდიდატად.

ღირსეული სასჯელი

წულუკიძის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა, რომ სოფელ ქუტირის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინას არღვევენ, შრომადღეებს უკანონოდ ხარჯავენ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყურადღებას არ აქცევს.

წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ტ. რუხაძეს — კომუნისტს დაადო მკაცრი პარტიული სასჯელი—გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით საარრიცხვო ბარათში შეტანით და რჩევა მისცა კოლმეურნეთა საერთო კრებას მოხსნას იგი თანამდებობიდან.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ლენინ — სტალინის პარტია კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია

ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა შექმნეს, აღზარდეს და ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის ცეცხლში გამოაწრთეს კომუნისტური პარტია, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მონოლითურ, ყველაზე მძლავრ და ყველაზე ავტორიტეტულ პარტიას მთელ მსოფლიოში.

ლენინ—სტალინის პარტია საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. მან სამი რევოლუციის ქარიშხალში გამოატარა ჩვენი ქვეყნის ხალხები და მიიყვანა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნამდე, რაც წარმოადგენს ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის ისტორიაში ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, კომუნისტური სამყაროსაკენ.

ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ჩვენი ქვეყანა გადააქცია უმძლავრეს ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ჩვენს ქვეყანაში მოისპო ექსპლოატატორული კლასები, აშენდა სოციალისტური საზოგადოება, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, სიღატაკე და შიმშილი. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, კლასობრივი სტრუქტურა, ეროვნული ურთიერთობა და მომზადდა მტკიცე საფუძველი სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. „ამჟამად, — ნათქვამია პარტიის ახალ წესდებაში, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ 1939 წელს ისტორიულ მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე დაგვისახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროგრამა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა სხვა მიმართულებით მოითხოვა ჩვენი ქვეყნის სახსრებისა და ხალხთა ენერგიის წარმართვა.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით დაამთავრა დიდი სამამულო ომი, რის შემდეგ წარმატებით გააჩაღა მშვიდობიანი მშენებლობა, გადაჭარბებით შეასრულა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების გეგმა და მთელი ძალით შეუდგა დიადი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

„...პარტიას განზრახვა აქვს, — აღნიშნა ი. ბ. სტალინმა თავის გამოსვლაში 1946 წლის 9 თებერვალს, — მოაწყოს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად, ერთისამად ომამდელ დონესთან შედარებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისაგან“.

საბჭოთა ხალხი ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ შეუდგა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ამ სტალინური პროგრამის განხორციელებას. როგორც ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა აღნიშნა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე, 1952 წელს დამზადდება 25 მილიონ ტონა თუჯი, 35 მილიონი ტონა ფოლადი, 300 მილიონი ტონა ქვანახშირი, 47 მილიონი ტონა ნავთი. წარმოების საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობა 1952 წელს დაახლოებით 2,7-ჯერ გადააჭარბებს 1940 წლის დონეს. 1952 წელს 1940 წელთან შედარებით გამომუშავდება 2,4-ჯერ მეტი ელექტროენერგია, დამზადდება 3-ჯერ მეტი მანქანები და მოწყობილობა. მთელი ჩვენი მრეწველობა მიმდინარე წელს 1940 წელთან შედარებით მოგვცემს 2,3-ჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას. ამრიგად, დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანა ჩვენი მრეწველობის დონის ერთისამად ამაღლების შესახებ წარმატებით სრულდება.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე წამოიჭრა ახალი აქტუალური საკითხები: რა წინასწარი პირობები უნდა შევქმნათ, რომ განვახორციელოთ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა? როგორია კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებანი? ამხანაგმა სტალინმა ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე მკაფიო პასუხი მოგვცა და გაგვინათა გზა კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

მიმდინარე წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ამ უბადლო ნაწარმოებით ამხანაგმა სტალინმა გენიალური სიცხადით გვიჩვენა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები, კომუნისტური საზოგადოების აშენების ძირითადი კანონზომიერებანი.

კომუნიზმში ნამდვილი გადასვლა რომ მოვამზადოთ,—გვასწავლის ი. ბ. სტალინი, — აუცილებელია სულ ცოტა სამი ძირითადი პირობა:

1. მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა.

2. თანდათანობით გადასვლების გზით, რასაც სარგებლობა მოაქვს კოლმეურნეობებისა და მთელი საზოგადოებისათვის, საკოლმეურნეო საკუთრების აყვანა საერთოსახალხო საკუთრების დონემდე და საქონლის მიმოქცევის შეცვლა პროდუქტების გაცვლის სისტემით, რათა ცენტრალური ხელისუფლებას ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ - ეკონომიკურ ცენტრს შეეძლოს მოიცვას საზოგადოებრივი წარმოების მთელი პროდუქცია საზოგადოების ინტერესებისათვის.

3. საზოგადოების ისეთი კულტურული ზრდა, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა ადამიანებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მონაწილენი, რომ თავისუფლად შეეძლოთ აირჩიონ პროფესია.

„ამისათვის საჭიროა,—წერს ამხანაგი სტალინი, — უწინარეს ყოვლისა, შევამციროთ სამუშაო დღე ყოველშემთხვევაში 6, შემდეგ კი 5 საათამდეც. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებმა მიიღონ საკმაო თავისუფალი დრო, რაც აუცილებელია ყოველმხრივი განათლების მისაღებად. შემდეგ, ამისათვის საჭიროა შემოღებულ იქნას საყოველთაოსავალდებულო პოლიტექნიკური სწავლება, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად აირჩიონ პროფესია და მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე. შემდეგ, ამისათვის საჭიროა ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ საბინაო პირობები და ავამაღლოთ მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი სულ ცოტა ერთიორად, თუ მეტად არა, როგორც ფულადი ხელფასის პირდაპირი გადიდების გზით, ისე, განსაკუთრებით, მასობრივი მოხმარების საგანთა ფასების შემდგომი სისტემატური დაკლების გზით“.

ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით გვაფრთხილებს, რომ კომუნიზმისათვის ყველა აღნიშნული პირობა მტკიცედ უნდა მომზადდეს, რომ მოუფიქრებლობა და აჩქარება კომუნიზმის ეკონომიკურ ფორმებზე გადასვლის საქმეში დაუშვებელია.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის მიერ თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და სოციალიზმის განვითარების ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენას.

წინააღმდეგ თანამედროვე კაპიტალიზმისა, რომლის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი მოთხოვნაა მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფა მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერებისა და მტაცებლური ომების გზით, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია: „მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“.

ახალი სტალინური ხუთწლედი განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას, უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული მდგომარეობის შემდგომ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ხუთწლედის წარმატებით განხორციელება დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე. ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანები დიდ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს და ავალებენ მათ მტკიცედ დარაზმონ მშრომელები კომუნიზმის ახალ-ახალ გამარჯვებათა მისაღწევად.

ლენინ—სტალინის პარტია მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს იმიტომ, რომ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას ყოველთვის აწყობს კონკრეტული ვითარების შესაბამისად, მშრომელთა იდეურ ერთიანობას განამტკიცებს ორგანიზაციის მატერიალური ერთიანობით, მრავალმილიონიან ხალხთა მასების დარაზმვით ძლევამოსილ არმიად დიადი მიზნის განხორციელებისათვის.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ **„დიადი ენერგია მხოლოდ დიადი მიზნისთვის იბადება“.** კომუნისტური პარტია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მასებში უდიდეს ენერგიას აღვივებს იმით, რომ უსახავს მათ დიად მიზანს, განუმტკიცებს საკუთარი ძალების რწმენას, რაზმავს მშრომელებს დასახული მიზნის განხორციელებისათვის.

ჩვენი დიადი მიზანი კომუნიზმის აშენებაა. საამისოდ უკვე დაიბადა და სულ უფრო მეტად ძლიერდება საბჭოთა ხალხის დიადი ენერგია. ამ ენერგიას წარმართავს ჩვენი პარტია. ეს ენერგია არის, სახეს რომ უცვლის ბუნებას, უხვმოსავლიანს ხდის მკვდარ უდაბნოს, აერთებს მდინარეებსა და ზღვებს, გვიახლოებს მშრომელთა სანუკვარ ოცნებას — კომუნიზმს. უკვე მწყობრში ჩადგა კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. ჩრდილოეთის ზღვებიდან ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ საზღვრებამდე გადაიჭიმა მსოფლიოში უდიდესი სანაოსნო ტრასი, რომელმაც ჩვენი საყვარელი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი ხუთი ზღვის ნავსადგურად გადაქცია და ერთმანეთს დაუკავშირა საბჭოთა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ცენტრები.

ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ნაგებობა წარმოადგენს კაპიტალიზმის წინაშე სოციალიზმის უპირატესობის ახალ დადასტურებას. მაშინ როცა სუეცის არხი შენდებოდა 11 წელიწადს, ხოლო 81 კილომეტრი სიგრძის პანამის არხი — 34 წელიწადს, 101 კილომეტრი სიგრძის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი, რომელზეც შესრულებულ იქნა პანამის არხზე არანაკლები და სუეცის არხზე 2-ჯერ მეტი მიწის სამუშაო, აგებულია ძირითადად 3 წელიწადში.

პანამისა და განსაკუთრებით სუეცის არხი აგებულია პრიმიტიულად და აღჭურვილი არ არის მექანიზმებით. ამერიკაში პანამის არხის მშენებლობას თან ახლდა სამარცხვინო კომბინაციები, რითაც ჯიბეები გაისქელეს ამერიკელმა და ფრანგმა კაპიტალისტებმა. სიტყვა „პანამა“ გახდა მექრთამეობის, გამყიდველობის, ბოროტმოქმედების სიმბოლო. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი ვოლგა-დონის სანაოსნო არხი და ციმლიანსკის ჰიდროკვანძი კი შესანიშნავი სკოლა გახდა ათასობით მშენებლის აღსაზრდელად. ისინი დაეუფლნენ ყველა-

სანიმუშოდ ჩავაყაროთ ციტრუსების მოსავლის აღება

სტალინურ ხუთწლედებში საქართველოს ტენიანი სუბტროპიკები მთლიან სუბტროპიკულ ბაღად გადაიქცნენ. აქ ათასობით ჰექტარ ფართობზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მწირ, მოუსავლიან ნიადაგად იყო ცნობილი, გაშენდა ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის პლანტაციები, შეიქმნა ლიმონმანდარინის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც კოლმეურნეობებთან ერთად ქვეყანას ყოველწლიურად ასობით მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს აძლევენ. ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობი, რომელიც კოლმეურნე გლეხობის შეძლებულობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს, დღითიდღე იზრდება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ ლენინ—სტალინის დიადი პარტიის XIX ყრილობაზე განაცხადა: „ყურადღება, რასაც ამხანაგი სტალინი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებას აქცევს, ბევრ რამეს გვავალებს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ საბჭოთა კავშირში არსად არ არის საუკეთესო ჯიშების ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის მიღების ისეთი ფართო შესაძლებლობანი, როგორც ჩვენში, საქართველოში. ვასრულებთ რა ამხანაგ სტალინის მითითებებს ციტრუსოვანთა შემდგომი განვითარების შესახებ, ვალდებულებას ვკისრულობთ უზრუნველვყოთ, რომ სახელმწიფოს ჩაბარდეს ციტრუსოვანთა ნაყოფი: 1953 წელს—400 მილიონი ცალი, 1954 წელს—500 მილიონი ცალი, 1955 წელს — 700 მილიონი ცალი, აქედან ლიმონი — 40 მილიონი და ფორთოხალი—25 მილიონი, ხოლო 1957 წელს — ერთ მილიარდამდე ციტრუსოვანი ნაყოფი, მათ შორის ლიმონი — 100 მილიონი და ფორთოხალი — 40 მილიონი. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას თავის ღირსების საქმედ მიაჩნია ამ ვალდებულების შესრულება. ჩვენ საბჭოთა ადამიანს უხვად უნდა მივაწოდოთ გემრიელი, სურნელოვანი, ვიტამინებით მდიდარი ციტრუსოვანთა ნაყოფი“. ჩვენმა მეციტრუსეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების გადიდების ამ ამოცანის შესასრულებლად.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების მიმდინარე წლის დავალება მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ. მახინჯაურის, ახალშენის, ციხისძირის და სხვა საბჭოთა მეურნეობების, მეციტრუსეებმა 1952 წლის მოსავლიდან სახელგავარ მილიონზე მეტი ცალი მანდარინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავზე გაუგზავნეს ჩვენი ქვეყნის გულის—მოსკოვის, გმირი ქალაქების ლენინგრადის, სტალინგრადისა და სხვა სამრეწველო ქალაქების მშრომელებს.

წელს შარშანდელთან შედარებით უფრო კარგი პირობებია შექმნილი. სხვა მიმდინარე სამუშაოებთან ერთად ორგანიზებულად უნდა ვკრიფოთ ციტრუსოვანთა ნაყოფი და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ დანაკარგი. კარგად მოემზადნენ უხვი მოსავლის ასაღებად აჭარაში გონიოს, მახვილაურის, კახაბერის, ახალშენის, მახინჯაურის, ციხისძირის, კვირიკეს, მუხაესტატეს, ალამბარისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები.

ენერგიულად მოემზადნენ ციტრუსების ახალი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის აფხაზეთში ილიჩის სახელობის, ახალი ათონის, კოხორის საბჭოთა მეურნეობებში. ახლა აქ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა მასობრივად არის გაჩაღებული.

ციტრუსების მოსავლის ხარისხიანად აღება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კრეფის აგროწესების დაცვაზე. ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა საჭიროა წარმოებდეს შერჩევით და ყოველთვის მოიკრიფოს ისეთი ნაყოფი, რომელმაც მიაღწია ნორმალურ ტექნიკურ სიმწიფეს. ლიმონი უნდა მოიკრიფოს მაშინ, როდესაც ნაყოფი მიიღებს ღია მწვანე შეფერილობას, ოდნავ გაყვითლდება და მიაღწევს სტანდარტულ სიდიდეს, ფორთოხალი უნდა მოიკრიფოს კანის სრული გაყვითლებისას, ყინვების დაწყებამდე, ხოლო მანდარინის ნაყოფის კრეფა იწყება კანის მთლიანი გაყვითლების შემდეგ.

მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის წესიერად დახარისხებას და მის დამუშავებას, არ დავუშვათ დანაკარგი არც მოკრეფისას, არც დახარისხების და გადამუშავების დროს.

პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას დამამზადებელი ორგანიზაცია — საქართველოს კონსერვტრესტი, რომლის ხელში წელს პირველად მთლიანად არის თავმოყრილი ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება, რაც ხელს შეუწყობს ზედნადები ხარჯების შემცირებას და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას. ეს ავალებს დამამზადებელი ქსელის მუშაკებს საუკეთესოდ მოაწყონ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება, მისი გადამუშავება და დანიშნულებისამებრ გადაგზავნა.

ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კოლექტივებმა მოსამზადებელი სამუშაოები შარშანდელზე უფრო კარგად ჩაატარეს, დროზე და საკმაო რაოდენობით მოამზადეს საპლანტაციო ყუთები, საკრეფი მაკრატლები, ავტოტრანსპორტი, მუშახელი, მაგრამ ეს ოდნავადაც არ იძლევა თვითდამშვიდების საბაბს. ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. საჭიროა სწრაფად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და ყველაფერი გავაკეთოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის უდანაკარგოდ აღებისათვის.

მოსავლის დროულად აღება დიდად შეუწყობს ხელს ციტრუსოვანთა ნარგავების კარგად გამოზამთრებას. ამიტომ ნაყოფისაგან ხეები დროულად უნდა განთავისუფლდეს. ამ საქმის წარმატებით გადაჭრა დამოკიდებულია საქართველოს კონსერვტრესტზე, რომელსაც უკვე გადაეცა საქართველოში არსებული როგორც ლიმმანტრესტის, ისე ცეკავშირის ციტრუსოვანთა ნაყოფის შემფუთავი ქარხნები. ამ დამამზადებელმა ორგანიზაციამ ციტრუსოვანთა ნაყოფის გადასამუშავებლად მოამზადა მხოლოდ ის ქარხნები, რომლებიც გასულ წელს იყო მოქმედებაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცეკავშირის ყოფილ სოფელ ხუცუბნის შემფუთავ ქარხანას. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მარტო შარშან მოქმედი შემფუთავი ქარხნები წლევანდელი მოსავლის გადამუშავებას ვერ შეძლებენ. ეს გამოიწვევს საბჭოთა მეურნეობებში ნაყოფის კრეფის ტემპის შენელებას და ადვილი შესაძლებელია ზოგიერთ მეურნეობაში კრეფის შეჩერებასაც. ეს გარემოება შემფუთავ ქარხნებში ხელს შეუწყობს ნაყოფის ჩაწოლას, გაუარესებს ხარისხს. ზემოაღნიშნულის ნათელსაყოფად ისიც კმარა, რომ ქობულეთის შემფუთავ ქარხანას პროდუქცია უნდა ჩააბაროს ოთხმა საბჭოთა მეურნეობამ: კვირიკეს, ალამბრის, მუხაესტატეს და ცეკლაურის მეურნეობებმა. ამ ქარხანასვე უნდა ჩაბარდეს კოლმეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე მოკრეფილი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ასეთსავე მდგომარეობაშია ჩაქვის შემფუთავი ქარხანა, სადაც კოლმეურნეობებთან ერთად ციტრუსოვანთა ნაყოფს აბარებენ ციხისძირის, ჩაქვის ლიმმანტრესტისა და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. გადატვირთულია ბათუმის ქარხანა, სადაც მიმაგრებულია გონიოს, ახალშენის, კახაბერისა და მახვილაურის საბჭოთა მეურნეობები. ყოველივე ამის გამო მიზანშეწონილი იქნება, თუ დამამზადებელი ორგანიზაცია ერთხელ კიდევ გადასინჯავს შემფუთავი ქარხნების ტევადობას და საჭიროების შემთხვევაში დამატებით სამუალებას გამოძებნის ზემოხსენებული მოსალოდნელი ნაკლოვანებების თავიდან ასაცილებლად.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანთა კრეფადამზადება მიმდინარეობს იმ პერიოდში, როცა სოფლად უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ისტორიულმა სიტყვამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად აღაფრთოვანეს ახალი სასახელო შრომითი გმირობისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მეციტრუსეები გულმოდგინედ იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ეჭვი არ არის, ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კოლექტივები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დროულად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, ჩვენი ქვეყნის მშრომელებს უხვად მიაწოდონ ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ვ. მიქელაიშვილი,
ლიმმანტრესტის უფროსი აგრონომი.

თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის 150 წლისთავისათვის

თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლას 29 ნოემბერს დაარსებიდან 150 წლისთავი უსრულდება.

შესანიშნავი ისტორია აქვს საქართველოს ამ უძველეს სკოლას. ამ სკოლაში, ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებელში, როგორც მას პირველად ეწოდებოდა, უსწავლიათ ქართული ლიტერატურის, კულტურის, მეცნიერების კორიფეებს: გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გიორგი ერისთავს, ალექსანდრე ყაზბეგს, პეტრე მელიქიშვილს, ივანე ჯავახიშვილს, ალექსანდრე ხახანაშვილს, ვასო აბაშიძეს, ვანო სარაჯიშვილსა და სხვებს. ამ სასწავლებელში სწავლობდნენ აგრეთვე ა. სუმბათაშვილი-იუჟინი და რუსული თეატრალური ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვაჟთა პირველმა საშუალო სკოლამ აღზარდა ჩვენი ქვეყნის მრავალი ათასი მოწინავე ადამიანი. ამ სკოლის კურსდამთავრებულთაგან ბევრია სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი.

სკოლის იუბილე ღირსსახსოვარი მოვლენა იქნება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პედაგოგ-მასწავლებლთა და მოსწავლეთა ცხოვრებაში, იმათ ცხოვრებაში, ვისაც ამ სკოლაში მიუღია საშუალო განათლება.

სკოლა ემზადება ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის. შექმნილია საიუბილეო კომიტეტი სკოლის დირექტორის კ. ჯორჯიკიას თავმჯდომარეობით.

საიუბილეო საღამო გაიმართება სკოლის შენობაში (ლესია უკრაინკის, 2). საღამოზე, დირექტორის შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებით ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის ისტორიის შესახებ გამოვა სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბ. მჭედლიძე.

შემდეგ მოეწყობა მოსწავლეთა თვითშემოქმედების ჩვენება. წარმოდგენილ იქნება მონტაჟი — „ძველი და ახალი სკოლა“. მონტაჟის ავტორი და დამდგმელია ამავე სკოლის კურსდამთავრებული, თეატრალური ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი ვ. მაღლაფერიძე.

ახალი წიგნები

შექსპირი — სონეტები. ინგლისურიდან თარგმნილი გივი გაჩეჩილაძის მიერ, მისივე ბოლოსიტყვაობით და შენიშვნებით. რედაქტორი ო. ჩხეიძე. მხატვარი ლ. ავალიანი. გამომცემლობა „სახელგამი“. ტირაჟი 5.000, გვ. 192. ფასი 3 მანეთი და 40 კაპიკი.

ლაზარე პირადოვი — ხეივანი. მხატვრული ნარკვევი რუსულ ენაზე. გამომცემლობა „ხარია ვოსტოკა“. რედაქტორი თ. ტახონოვი. ტირაჟი 5.000, გვ. 134, ფასი 3 მანეთი და 10 კაპიკი.

შალვა ფორჩხიძე — ჩემო ქვეყანავ. ლექსთა კრებული. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. რედაქტორი მ. ებრალიძე. ტირაჟი 7.000, გვ. 149, ფასი 5 მანეთი და 40 კაპიკი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პავლოვის მოძღვრების განვითარება

(კ. მ. ბიკოვის და ი. ტ. კურცინის წიგნის—„წყლულოვანი დაავადების პათოგენეზის კორტიკო-ვისცერალური თეორიის“ ქართული გამოცემის გამო*)

1950 წლის ივლისში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულმა სესიამ, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემებს, ამომწურავი სიღრმით განსაზღვრა ამ მოძღვრების უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებით ფიზიოლოგიისა და მედიცინის განვითარებაში.

სესიამ სასტიკად გააკრიტიკა ზოგი საბჭოთა ფიზიოლოგის მავნე, იდეალისტური თვალსაზრისი და საბჭოთა მეცნიერების წინაშე დააყენა პავლოვის იდეების შემდგომი განვითარების კონკრეტული ამოცანები.

სესიის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ფართოდ განვითარდა პავლოვის იდეა—თავის ტვინის ქერქის წარმმართველი როლის შესახებ ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კლინიკური მედიცინის განვითარებისათვის.

ამ მხრივ საყოველთაოდ ცნობილია აკადემიკოს ბიკოვის და მისი თანამშრომლების მიერ ჩატარებული მუშაობა.

მრავალი წლის განმავლობაში დაგროვებული ექსპერიმენტული მასალების საფუძველზე ბიკოვმა განავითარა თავის ტვინის ქერქსა და შინაგან ორგანოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების თეორია (კორტიკო-ვისცერალური თეორია).

ჯერ კიდევ „რუსული ფიზიოლოგიის მამა“ ი. სეჩენოვი ორგანიზმსა და გარემოს განუყოფელ ერთიანობაში იხილავდა. მისი აზრით, ორგანიზმის ცნების მეცნიერულ განსაზღვრაში უნდა შევიდეს მასზე მოქმედი გარემოც. ავთარებდა რა ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობის საკითხს, პავლოვმა უმაღლეს ცხოველებზე ექსპერიმენტით დასაბუთა ორგანიზმის დამოკიდებულება გარემო პირობებთან.

ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობა ნერვული სისტემის რეფლექსური მოქმედებით ხორციელდება. მეცნიერება პავლოვამდე იცნობდა მხოლოდ თანშობილ ანუ უპირობო რეფლექსს, რომელიც ცხოველებში და ადამიანებში შედარებით უცვლელი სახით გადაეცემა თაობიდან თაობას (მაგალითად, წოვა, ნერწყვსადენი და სხვ.). მაგრამ განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ცხოველი მარტო ასეთი თანშობილი რეფლექსური რეაქციებით ვერ შეეგუებოდა განუზომლად რთულ და მუდამ ცვალებად გარემო პირობებს. იმ მექანიზმების აღმოჩენა, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ ცხოველმა შესაბამისი ფუნქციური კავშირები დაამყაროს ცვალებად გარემო პირობებთან, აკადემიკოს პავლოვს ეკუთვნის. ასეთ უმაღლესი ტიპის რეფლექსს პავლოვმა პირობითი რეფლექსი უწოდა.

უმაღლეს ცხოველებში პირობითი რეფლექსი ხორციელდება თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქით და წარმოადგენს ორგანიზმის დროებით კავშირს მუდმივ ცვალებად გარემო პირობებთან.

პავლოვმა პირობითი რეფლექსების მეთოდით შეისწავლა და დაასაბუთა, რომ თავის ტვინის ქერქით ხორციელდება არა მარტო ორგანიზმის ურთიერთობა გარემოსთან, არამედ იგი ახდენს ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესის რეგულაციას.

პავლოვის იდეა—ორგანიზმის ყველა პროცესში თავის ტვინის ქერქის მარეგულირებელი როლის შესახებ განაგრძეს და განვითარეს პავლოვის გამოჩენილმა მოწაფემ აკადემიკოსმა ბიკოვმა და მისმა თანამშრომლებმა.

აკადემიკოს ბიკოვის ლაბორატორიაში პირობითი რეფლექსების მეთოდით შეისწავლეს თითქმის ყველა შინაგანი ორგანო და ყველა შემთხვევაში დადასტურდა თავის ტვინის ქერქის გავლენა შინაგან ორგანოების მოქმედებაზე.

თავის ტვინის ქერქზე განუწყვეტლივ მოქმედებენ არა მარტო გარემოდან მიღებული გამაღიზიანებლები (ექსტეროცეპციული გაღიზიანება), არამედ ის გამაღიზიანებლებიც, რომლებიც აღმოცენდებიან სხეულის სხვადასხვა ორგანოებში.

გაღიზიანების მიმღები ნერვული დაბოლოებები ანუ რეცეპტორი გააჩნია შინაგან ორგანოებსაც (ინტერორეცეპტორი), რომლებიც რეაქციას ახდენენ მექანიკურ, თერმიულ, ქიმიურ და სხვა სახის გამღიზიანებლებზე.

აღწევენ თუ არა ინტერორეცეპტიული იმპულსები თავის ტვინის ქერქამდე? შინაგან ორგანოებში წარმოშობილი ნერვული იმპულსების (აღგზნების) ქერქამდე მიღწევის საკითხი იმ შემთხვევაში გაირკვევა, თუ დადგენილ იქნება შინაგანი ორგანოების გაღიზიანებით პირობითი რეფლექსების გამომუშავება, ე. ი. თუ მიიღება ინტერორეცეპტიული პირობითი რეფლექსი.

აკადემიკოსმა ბიკოვმა მრავალი ცდით დაადასტურა პავლოვის აზრი იმის შესახებ, რომ ყოველ ორგანოს თავისი წარმმადგენლობა გააჩნია თავის ტვინის ქერქში. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ შინაგან ორგანოებზე მოქმედებით პირობითი რეფლექსი არ გამომუშავდება. რაც შეეხება უმაღლეს ცხოველებს, მათში დროებითი კავშირები თავის ტვინის ქერქში წარმოიქმნება.

ზემოაღნიშნული ცდების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქი არეგულირებს შინაგანი ორგანოების მოქმედებას. მაგრამ თავის მხრივ შინაგანი ორგანოებიც იმპულსთა უწყვეტ ნაკადს უგზავნიან ქერქს. ამრიგად, დიდი ტვინის ქერქი ინფორმაციას იღებს როგორც გარეგანი სამყაროდან, ისე ორგანიზმის „შინაგანი სამყაროდან“.

„იმპულსების ამ ორი ნაკადის ურთიერთმოქმედება მთლიანი ორგანიზმის მოქმედების ინტეგრაციაში ჰქმნის იმ ახალს, რასაც შეიძლება **კორტიკო-ვისცერალური დინამიკა** (ხაზგასმა ჩემია—ს. ა.) ეწოდოს“ (გვ. 85).

ამის შემდეგ ბიკოვი და კურცინი განიხილავენ იმ საკითხს, თუ რა როლს ასრულებს თავის ტვინის ქერქი ზოგიერთი დაავადების განვითარებაში. ისინი წერენ: „...ქერქული იმპულსების ძალა შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ მან შეძლოს არა მარტო თანდაყოლილი უპირობო რეფლექსური რეაქციის შეკავება, არამედ მისი გაუკუღმართებაც“.

ადამიანის პერიფერიულ სისხლის ძარღვებზე ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ქერქული იმპულსების გავლენამ შეიძლება ისე გააუკუღმართოს სისხლძარღვთა უპირობო რეფლექსი, რომ სიცივის მოქმედება იწვევდეს არა სისხლძარღვთა დავიწროებას, არამედ მათ გაგანიერებას. „სისხლძარღვთა რეაქციის ეს გაუკუღმართება, წერენ სარეცენზიო ნაშრომის ავტორები, —იმდენად ხანგრძლივი და მტკიცე იყო, რომ საფუძველი მოგვეცა განგვეხილა იგი როგორც „სისხლძარღვთა ნევროზის“ ტიპის პათოლოგიური მდგომარეობა“ (გვ. 29).

მრავალი ცდით დამტკიცდა, რომ ცხოველებში უმაღლესი ნერვული მოქმედების დარღვევა (ე. წ. „ექსპერიმენტული ნევროზი“) იწვევს შინაგანი ორგანოების ხანგრძლივ და ღრმა პათოლოგიურ ცვლილებებს. ბიკოვმა და კურცინმა წყლულოვანი დაავადების მაგალითით გვიჩვენეს, თუ რა როლს ასრულებს თავის ტვინის ქერქსა და შინაგან ორგანოებს შორის შეცვლილი დამოკიდებულება პათოლოგიური პროცესის განვითარებაში: გარეშე გარემოს გამაღიზიანებლებთან გამოწვეული ხანგრძლივად მოქმედი ცენტრიდანული იმპულსების გავლენით კუჭში ან თორმეტგოჯა ნაწლავში იწყება პათოლოგიური ცვლილებები (წყლულის წარმოშობის დაწყებითი სტადია). დაავადებულ ორგანოდან კი თავის მხრივ შეცვლილ იმპულსთა უწყვეტი ნაკადი მიიმართება თავის ტვინის ქერქისაკენ და ცვლის როგორც ქერქის, ისე ქერქქვეშა ცენტრების ფუნქციონალურ მდგომარეობას.

ამრიგად, „წარმოიშობა თავისებური „მანკიერი წრე“ — ცენტრიდან ორგანოსაკენ განუწყვეტლივ მიიმართება იმპულსები, რომლებიც მის ფუნქციას ირღვევს და ამახინჯებს, და ორგანოდან ცენტრისაკენ კი მიემართება იმპულსები, რომლებიც მარეგულირებელი სისტემის დაზიანებას ღრმავებს. ასეთი „მანკიერი წრე“ იარსებებს მანამდე, სანამ არ იქნება **აღდგენილი მარეგულირებელი ანარეკლი** (ხაზგასმა ჩემია—ს. ა.) ნორმალური მოქმედება“ (გვ. 88).

ბიკოვი და კურცინი სრულებით არ უარყოფენ წყლულოვანი დაავადების წარმოშობასა და განვითარებაში ისეთი ცალკეული ფაქტორების მნიშვნელობას, როგორიც არის ნერვული სისტემის ტიპობრივი თავისებურება, ვეგეტაციური ნერვული სისტემის ფუნქციის მოშლა, შინაგანი ორგანოების ინტეროცეპციის როლი და სხვ. მაგრამ მათი აზრით მთელ ამ „ანსამბლს“ „დირიჟორობს“ ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლესი განყოფილება — თავის ტვინის ქერქი, რომლის დაზიანებაც დაავადების წარმოშობას იწვევს.

კორტიკო-ვისცერალური თეორიით დადასტურდა პავლოვის აზრი ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი გარემოს ერთიანობის შესახებ. ამ თეორიის საფუძველზე სრული სიცხადით აშკარავდება უცხოელი მეცნიერის ვირხოვის მცდარი, მეტაფიზიკური შეხედულება დაავადებაზე.

ვირხოვი დაავადებას განიხილავდა როგორც ადგილობრივ, ლოკალურ პროცესს და არა როგორც ორგანიზმის საერთო რეაქციას. ამ რეაქციის განხორციელებაში მთავარია რეფლექსური მექანიზმები. „წარმოუდგენელია, — წერენ ბიკოვი და კურცინი, — ორგანოს ლოკალური დაზიანება ისე, რომ ქერქს არ მიეღოს „ინფორმაცია“ ამის შესახებ და ამის შესაბამისად არ იყოს გამოხატული ქერქული მექანიზმების მონაწილეობა პათოლოგიური პროცესის განვითარებაში“.

პავლოვისათვის ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლა იყო არა თვითმიზანი, არამედ საშუალება, რათა მათი კანონზომიერების შეცნობით აქტიურად ჩარეოდა დაავადებულ ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს და წარმართა იგი სასურველი მიმართულებით. ამ ამოცანას ემსახურება სარეცენზიო წიგნი. იგი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ნაყოფიერია პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების საფუძველზე წარმოებული მეცნიერული კვლევა-ძიება, თუ რამდენად ამდიდრებს მოწინავე ფიზიოლოგია თეორიულ და პრაქტიკულ მედიცინას. აქედან ცხადია ზემოაღნიშნული ნაშრომის მნიშვნელობა მედიცინის მუშაკთათვის. მისი შესწავლა ერთნაირად სასარგებლო და სავალდებულოა ყველა ექიმისათვის.

ორიოდე სიტყვა თარგმანზე.

წიგნში მოიპოვება ზოგიერთი არაზუსტი გამოთქმა. მაგალითად, რამდენჯერმე მეორდება „სისხლძარღვოვანი პირობითი რეფლექსი“ (გვ. 11, 29, 32, 85...) (უნდა იყოს „სისხლძარღვთა პირობითი რეფლექსი“), „სისხლძარღვოვანი რეაქცია“ (გვ. 12, 29), „სისხლძარღვოვანი ნევროზი“ (გვ. 29) (უნდა იყოს „სისხლძარღვთა რეაქცია“, „სისხლძარღვთა ნევროზი“), „ქერქოვანი იმპულსები“ (გვ. 85) (უნდა იყოს „ქერქული იმპულსები“) და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი გარემოება, რამაც შესაძლოა ზოგიერთ მკითხველში გაუგებრობა გამოიწვიოს. წიგნში თვითეულ ცნობილ საბჭოთა ფიზიოლოგს მიკუთვნებული აქვს „საბჭოთა ფიზიოლოგიური სკოლის“ წარმომადგენლის სახელი. მაგალითად, ორბელის „სკოლა“, რაზენკოვის „სკოლა“ და სხვ.

ამასთან ორბელის „ფიზიოლოგიური სკოლა“ ნახსენებია ორბელის ანტიპავლოვური, იდეალისტური კონცეპციის კრიტიკული შენიშვნების გარეშე. ეს იმით აიხსნება, რომ ბიკოვისა და კურცინის სარეცენზიო ნაშრომი (ორიგინალი) ორი აკადემიის გაერთიანებულ სესიამდე ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა. სესიამ კი, როგორც ცნობილია, გამოამძღავნა და გაანადგურა ის მავნე მიმართულება საბჭოთა ფიზიოლოგიაში, რომელიც ცდილობდა მეცნიერებაში იდეალიზმის დანერგვას. სესიამ დაგმო ზოგი საბჭოთა ფიზიოლოგის სრულიად უსაფუძვლო მისწრაფება — შეექმნათ თავისი საკუთარი „სკოლები“ და „სკოლუნები“ და ამით თავისი თავი დაეპირისპირებინათ **პავლოვის** მოძღვრების საერთო მიმართულებისათვის. ყოველივე ეს წიგნის ქართულ ენაზე გამოცემის დროს მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული.

საერთოდ წიგნი კარგად არის თარგმნილი. იგი ქართველ მკითხველს დიდ სარგებლობას მოუტანს.

ს. აბშილავა,
თბილისის პირველი საავადმყოფოს ნერვულ სნეულებათა განყოფილების გამგე.

*) საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობა. თბილისი. 1952 წ. რედაქტორი პროფ. დ. გედევანიშვილი.

კავკასიოლოგიის ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესიები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი ნოემბერში აწყობს რამდენიმე გამსვლელ სამეცნიერო სესიას საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (გორში, ქუთაისში, სუხუმში და ბათუმში).

15 და 16 ნოემბერს ინსტიტუტმა მოაწყო სესია გორში. გორის საექიმო საზოგადოებამ დიდი ინტერესით მიიღო მონაწილეობა სესიის მუშაობაში.

ანალოგიური სესია 22-23 ნოემბერს გაიმართება ქუთაისში, 24-25 ნოემბერს სუხუმში და 27-28 ნოემბერს ბათუმში.

სესიების მიზანია ჰიპერტონიული და საერთოდ გულსისხლძარღვთა დაავადების წინააღმდეგ კვლევითი მუშაობის და სამკურნალო-პროფილაქტიკური საქმის ორგანიზაცია ადგილებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ კვლავ ილაპარაკა პერუს დელეგატმა ბელაუნდემ. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კომიტეტის სხდომები, რომლებიც დანიშნული იყო 18 ნოემბრისათვის, გადადებულია, რადგან ორატორებმა თავიანთი გამოსვლა 19 ნოემბრისათვის გადათანეს. როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ჯერ ვერ მოახერხა შეეგროვებინა ხმების საჭირო რიცხვი, რათა გაეყვანა პოლიტიკურ კომიტეტში ამერიკის რეზოლუციის პროექტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიუ-იორკის პრესა აშკარად გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ კორეის საკითხზე არ არსებობს გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესიის „გადაწყვეტილებანი", რომლებიც მისაღები იყოს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისათვის. გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" დღეს ალაპარაკდა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიზისის" შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „სულ უფრო მეტ სიძნელეს განიცდიან კორეაში" და რომ ამიტომ შეერთებულ შტატებში „იმედგაცრუებისა და შეშფოთების გაწყობილება თავის გარდუვალ გამოვლინებას პოულობს გაერთიანებული ერების კრიტიკაში".

სხდომაზე ილაპარაკა პერუს წარმომადგენელმა, რომელმაც თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა მოწოდებას — არ გაუზვიადონ ცალკეული დელეგაციების უთანხმოება და საფუძვლად მიიღონ ამერიკის რეზოლუციის პროექტი. ბელაუნდემ განაცხადა, რომ იგი მზად არის პერუს დელეგაციის სახელით წარდგენილი რეზოლუციის პროექტი „შეუთანხმოს" რეზოლუციის „სხვა" პროექტებს, იგი გულისხმობდა ამერიკის პროექტს.

თავისი გამოსვლით ბელაუნდემ ცხადყო, რომ სავსებით უმჯობესი მხარს ამერიკის სარდლობის პოზიციას, რომელიც უარს ამბობს სამხედრო ტყვეების დაბრუნებაზე სამშობლოში. მან უხეშად დაამახინჯა ჟენევის კონვენცია და ამაოდ ცდილობდა ეპოვნა კონვენციაში რაიმე დასაძვრენი ამერიკის რეზოლუციის პროექტის გასამართლებლად.

პერუს დელეგატმა აღიარა, რომ მისი პროექტი ითვალისწინებს კვლავაც მოხდეს სამხედრო ტყვეების „გადარჩევა" და „გამოკითხვა" და მათი იძულებითი დაკავება. შეეხო რა სამხედრო ტყვეების ბედს, პერუს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, მისი რეზოლუციის პროექტის მიხედვით, კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეები შეიძლება გაიგზავნონ ეგრეთწოდებულ „სამეურვეო ტერიტორიებზე", რომლებსაც კოლონიური სახელმწიფოები განაგებენ. ამრიგად, პერუს დელეგატმა წამოაყენა-ლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიურ მონებად ჩინელი და კორეელი სამხედრო ტყვეების გადაცემის ამერიკა-ინგლისის გეგმა, ბელაუნდეს ამ აღიარებით ჩანს „ინდივიდუუმის უფლებათა დაცვის" შესახებ, „პიროვნების თავისუფლების" შესახებ და სხვ. ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენლების განცხადებათა მთელი სიყალბე.

პერუს წარმომადგენელმა - გაილაშქრა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიის შექმნის შესახებ სსრ კავშირის დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ, ამასთან ცილისწამებას მიმართა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

შემდეგ სხდომაზე ილაპარაკა ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. ვ. კისელიოვმა, რომელმაც განაცხადა: მთელმა მსოფლიომ კარგად იცის, რომ კორეაში ომის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები არიან ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები და რომ მხოლოდ ამერიკის სარდლობის მიზეზით შეწყდა დაზავებაზე მოლაპარაკება პანმუნჯონში.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი, რომელსაც მხარი დაუჭირა კორეაში ომის მონაწილე ოცამ სხვა სახელმწიფომ, მთლიანად და სავსებით მიმართულია კორეაში ამერიკის ინტერვენციის გასამართლებლად. რეზოლუციის პროექტი იწონებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის მოქმედებას, სარდლობისა, რომელიც უკვე ორ წელიწადზე მეტია ბარბაროსულ ომს ეწევა კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ანგრევს მთელ ქალაქებსა და სოფლებს, აოხრებს კორეის მიწაწყალს, ჟლეტს მოსახლეობას. რეზოლუცია ითვალისწინებს შირმად გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელი, რათა დაფაროს აგრესიული, სისხლიანი ომი, რომელიც თავს მოახვიეს კორეელ ხალხს.

კ. ვ. კისელიოვმა საფუძვლიანად გააკრიტიკა ამერიკის რეზოლუციის პროექტი, აგრეთვე მექსიკისა და პერუს დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუციების პროექტები და მოუწოდა კომიტეტს მოიწონოს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, რომელიც გვიჩვენებს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების ერთადერთ სწორ გზას.

ეს წინადადება, განაცხადა დასასრულ ამბ. კისელიოვმა, შეესაბამება მთელი მსოფლიოს ხალხთა მოთხოვნებს და მიზნად ისახავს კორეაში ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტას. მხოლოდ ამ წინადადების მიღებით მივაღწევთ კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას. უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები გულმოდგინედ აფიქრებენ თვალყურს ჩვენს მოქმედებას და ჩვენგან მოელიან მშვიდობას და არა ომს.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

შანხაი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ნანკინის გაზეთი „სინხუაკიბაო" წერს, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით ქალაქ სუჯოუს მოსახლეობა ფართოდ ეცნობა საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებას. 8 ნოემბრიდან, წერს გაზეთი, ფოტოგამოფენება საბჭოთა კავშირის შესახებ ინახულა 22 ათასზე მეტმა კაცმა, საბჭოთა კინოფილმები ნახა 130 ათასმა კაცმა. სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობისადმი მიძღვნილ ლექციებს მოეხენება საბჭოთა კავშირის შესახებ ინახულა 22 ათასზე მეტმა კაცმა, საბჭოთა კინოფილმები ნახა 130 ათასმა კაცმა. სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობისადმი მიძღვნილ ლექციებს დაესწრო 30 ათასზე მეტი კაცი. 45 ფაბრიკასა და ქარხანაში, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებში გახსნილია ფოტოგამოფენები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას.

გაზეთი იუწყება, რომ ერთთვიურის პირველ კვირაში ნანკინის 45 ათასზე მეტმა მცხოვრებმა შეიტანა განცხადება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრად მიღების შესახებ.

ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გადაწყვეტილებანი

პეკინი, 18 ნოემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობასთან იქმნება ოთხი ახალი ორგანო: სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გო განის თავმჯდომარეობით; ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელი იქნება ხო ლუნი; უმაღლესი განათლების სამინისტრო—მინისტრი მა სიუ-ლუნი (განათლების სამინისტრო კვლავ არსებობს) და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომიტეტი—ხელმძღვანელი ჯუ დუ-ნანი.

სინხუას სააგენტოს ცნობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ადმინისტრაციულ დანაწილებაში ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გადაწყვეტილებით შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ბინ-იუანის პროვინცია უქმდება, 29 მაზრა, რომლებიც მის იურისდიქციას ექვემდებარება და წინათ შანდუნის პროვინციაში შედიოდა, გადაეცემა შანდუნის პროვინციას; 22 მაზრა, 2 ქალაქი, აგრეთვე ძიაოძოს სამრეწველო და სამთამადნო რაიონი გადაეცემა ხენანის პროვინციას; კიდევ 5 მაზრა, რომლებიც წინათ ხებეის პროვინციაში შედიოდა, ხენანის პროვინციის ნაწილი გახდება.

უქმდება ჩახარის პროვინცია. 13 მაზრა და ქალაქი დატუნ გადაეცემა შანსის პროვინციას, 16 მაზრა და ქალაქები კალგანი და სიუანხუა ხებეის პროვინციაში შევა.

იქმნება ძიანსუს პროვინციის პროვინციული სახალხო მთავრობა, რომლის ადგილსამყოფელიც იქნება ნანკინი.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის წინ

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ პარიზში გაიმართა 300 ექიმის კრება, რომელზეც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ივ ფარუმა ილაპარაკა ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის მიზნებსა და ამოცანებზე.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გმობენ ომისათვის მზადების პოლიტიკას და მიესალმებიან ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევას.

ქალაქ ბობინიის (სენის დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა გაგზავნოს კონგრესზე დელეგაცია ექვსი მუნიციპალური მრჩევლის შემადგენლობით, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნიან.

ინგლისში ემზადებიან ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის

მშვიდობისათვის მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, ბირმინჰამის ეპისკოპოსმა დოქტორმა ე. ბარნსმა გააკეთა განცხადება, რომლითაც მხარს უჭერს ხალხთა შვიდობის დაცვის მომავალ კონგრესს, რომელიც ვენაში გაიმართება.

ბარნსმა თქვა: „მივესალმები მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების ყოველ ცდას. ამიტომ მოხარული ვარ, რომ ყოველ დრნეს ხმარობენ, რათა შემდეგ თვეში მოიწვიონ ვენაში მშვიდობის მომხრეთა კონგრესი და, ამრიგად, გააძლიერონ მოძრაობა ევროპის მშვიდობისათვის".

„დეილი უორკერი" აგრეთვე იუწყება, რომ ამ ბოლო დროს ვენის მომავალ კონგრესზე გასაგზავნად დელეგატები აირჩიეს შემდეგმა ორგანიზაციებმა: ახალგაზრდობის ფესტივალისათვის მზადების ინგლისის კომიტეტმა, რომელმაც აირჩია თავისი მდივანი სტენლი ლევენსონი; ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის მზადების ლონდონის მკერავთა საინიციატივო კომიტეტმა; ისტ-ჰემში (ლონდონი) გამართულმა მიტინგმა.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სესიის მოწვევა

პრაღა, 18 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სესიის დღის წესრიგში იქნება შემდეგი საკითხები:

1) ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მუშაობის შედეგები და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ამოცანები; 2) ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესი; 3) ახალგაზრდათა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალი.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სესიის დღის წესრიგში იქნება შემდეგი საკითხები:

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 18 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 18 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები განვლილი დღის მანძილზე ცენტრალური ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საჭენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 4 და დაახიანეს 3 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების მხეცურ დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის დაშენაში.

ამერიკის ავიაცია გარგაროსულად ესხმის თავს ჩრდილოეთ კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს

ფხენიანი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის ავიაცია კვლავ მხეცურად ბომბავს ჩრდილოეთ კორეის ქალაქებსა და სოფლებს. კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 8 ნოემბერს ღამით ამერიკის 20-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი დაესხა თავს ქალაქ ნამფხოს. ჰაერის მეკობრეებმა ქალაქში ჩამოყარეს სხვადასხვა ყალიბის ათობით ბომბი. დაბომბვის შედეგად მოკლეს დაახლოებით 100 მშვიდობიანი მცხოვრები და დაჭრეს ბევრი მცხოვრები. დანგრეულია მრავალი მიწური და სხვა სახლი.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ჰაერის მეკობრეებმა გააფთრებით დაბომბეს ჩრდილოეთ ფხენანის პროვინციაში ჩარენგანი. ჩარენგანზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ მოიერიშენი და ბომბდამშენები, რომლებმაც დიდი რაოდენობით ჩამოყარეს ფუგასური და მსხვრევადი ბომბები და ტყვიამფრქვევები დაუშინეს ჩარენგანს. დანგრეულია გლეხთა ბევრი შენობა და მიწური; მოკლულია 90 მშვიდობიანი მცხოვრები, მეტწილად ქალები, ბავშვები და მოხუცები. 14 ნოემბერს ამერიკის 50-ზე მეტი მოიერიშე თავს დაესხა ამავე პროვინციის ჩონჯუს მაზრის კარსანის თემის მშვიდობიან სოფლებს. ამ დღეს კარსანის თემში მოკლულ და დაჭრილ იქნა ბევრი გლეხი, დანგრეულია გლეხთა მრავალი შენობა. იმავე დღეს ამერიკელმა ჰაერის მეკობრეებმა ბარბაროსულად დაბომბეს ჩონჯუს მაზრის კოდონის თემის სოფლები, მოკლეს ათობით გლეხი და დაანგრიეს გლეხთა ბევრი სახლი.

იტალიის გლეხობა იბრძვის ამერიკული კაბალის წინააღმდეგ

რომი, 19 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, სამიწათმოქმედო დამფუძნებელი კრების სამდივნომ (საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს აგრარული რეფორმისათვის გლეხთა მოძრაობას. — **რედ.**) თავის უკანასკნელ სხდომაზე მკვეთრად გააკიცხა ეგრეთწოდებული „მშვიდობიანი" შექმნის გეგმები, რომლებსაც მხარი დაუჭირა იტალიის მთავრობამ.

დისკუსიის მსვლელობაში აღინიშნა, რომ „მშვიდობიანი" სოფლის მეურნეობის დარგში ისახავს იმავე მიზნებს, რასაც შუმანის გეგმა მეტალურგიულ მრეწველობაში, ესე იგი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას ამერიკის ფინანსისტთა ჯგუფების ხელმძღვანელობით, რათა კონტროლი გაუწიონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და განაწილებას დასავლეთ ევროპაში. სხდომის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ „მშვიდობიანი" სერიოზულად ემუქრება პულის მონაწილე ქვეყნების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

სამიწათმოქმედო დამფუძნებელი კრების სამდივნომ ამ სხდომაზე აღნიშნა, რომ ლახვარი უშინარეს ყოველისა ჩაეცემა იტალიის სასოფლო-სამეურნეო ბაზრის სპეციფიკურ პროდუქციას, რომელსაც ჩათვლიან „არაარსებითად სამხედრო მიზნებისათვის", როგორიც არის, მაგალითად, ბოსტნეული, ხილი, ღვინო და რძის პროდუქტები. იტალიის სოფლის მეურნეობამ, პირიქით, უნდა გაადიდოს მარცვლის წარმოება სტრატეგიული რეზერვების შექმნის მიზნით.

იტალიის სოფლის მეურნეობის სტრუქტურის შეცვლა „მშვიდობიან პულისადმი" შეერთების შედეგად გამოიწვევდა ამერიკული პროდუქტების მოზღვავებას იტალიაში, რაც ფაქტიურად უკვე დაიწყო.

ჰოლანდიის გაზეთი „ევროპის არმიის" გამო ფრანგი ოფიცრობის უკმაყოფილების შესახებ

ჰაგა, 18 ნოემბერი. (საკდესი). „დე ვაარჰეიდის" კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება: „აქ ბევრისათვის საიდუმლო არარ არის, რომ ამ უკანასკნელ ხანს საფრანგეთის არმიის რიგებში სულ უფრო ძლიერდება წინააღმდეგობა ევროპოწოდებული ევროპის არმიის შექმნისადმი. ჩვენ უკვე ვწერდით მეტად თუ ნაკლებად საიდუმლო დოკუმენტზე, რომელიც „საერთო ხელშეკრულების" ხელმოწერის შემდეგ გავრცელებულია უმაღლეს და შტაბის ოფიცრებში. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ევროპის არმიის შექმნა „ყველაზე დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დამარცხება იქნება საფრანგეთის ისტორიაში". ატლანტიკის კავშირის პოლიტიკის ასეთი მკვეთრი დაგმობა ისეთ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, რომელიც საუკუნეზე ნაკლები ხნის განმავლობაში სამჯერ გახდა გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიის მსხვერპლი, მხოლოდ და მხოლოდ წარსულის გამოცდილების შედეგია. მთელი თაობების მანძილზე საფრანგეთის არმიები იძულებული ხდებოდნენ მომზადებულიყვნენ გერმანიის აგრესიისაგან დაცვისათვის. სრულიადაც არ არის გასაკვირველი, რომ ახლა საფრანგეთის არმიის რიგებში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები, რომლებიც აღნიშნავენ გერმანიის ახალი ვერმახტის შექმნის საშიშროებას. წინააღმდეგობის ეს მოძრაობა სწრაფად ძლიერდება... დამოუკიდებელი „ტრიბუნ დე ნასიონი" გაფრთხილებას იძლევა იმ ღონისძიებათა შესახებ, რასაც საფრანგეთის მთავრობა ამზადებს იმ ოფიცრებისა და გენერლების წინააღმდეგ, რომლებმაც გაბედეს აღენიშნათ ეგრეთწოდებული ევროპის არმიის შექმნის საშიშროება".

მასების ზეგავლენით

ბუნდესტაგმა უარყო წინადადება ნოემბრის დამლევს ბონის ხელშეკრულების განხილვის შესახებ

ბერლინი, 18 ნოემბერი. (საკდესი). დას-ს სააგენტოს ცნობით, დღეს დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგმა უარყო მთავრობის პარტიის (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი—ქრისტიან სოციალისტთა კავშირი) დეპუტატის ჰენრიხ �რონეს მიერ შეტანილი წინადადება იმის შესახებ, რომ ბონის ხელშეკრულების მეორე და მესამე წაკითხვა მოეწყოს 26 და 27 ნოემბერს. ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცა 179 დეპუტატმა, ხოლო სასარგებლოდ—166 დეპუტატმა. წინააღმდეგ ხმა მისცეს გერმანიის კომპარტიის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ფედერალისტური კავშირისა და განდევნილთა და უფლებააყრილთა ბლოკის ფრაქციებმა და სხვ. მთავრობის კოალიციის პარტიების დეპუტატთაგან დაახლოებით 10 დეპუტატმა ხმა მისცა აგრეთვე ამ წინადადების წინააღმდეგ.

დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა ახალი ნეოფაშისტური ორგანიზაცია

ბერლინი, 18 ნოემბერი. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ ქალაქ ბამბერგში შეიქმნა ახალგაზრდათა ნეოფაშისტური ორგანიზაცია „იუგენდბუნდ ადლერი". როგორც ამ ორგანიზაციის მეთაურის განცხადებიდან ჩანს, „იუგენდბუნდ ადლერი" იბრძოლებს გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა განთავისუფლებისა და „ფედერალური მთავრობის პოლიტიკის" სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

საგაფიცვო მოძრაობა იაპონიაში

ტოკიო, 18 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მოეწყო ელექტრომრეწველობის მუშათა მორიგი მე-14 გაფიცვა, 17 ნოემბერს ენერგიის მიწოდება შეუწყვიტეს 743 სარეწველო საწარმოს, დღეს ელექტროენერგია 4 საათის განმავლობაში არ მიეღო დაახლოებით 750 საწარმოს.

პროფკავშირთა გენერალური საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტაკანმ 13 ნოემბერს განაცხადა, რომ გენერალური საბჭო მზად არის მოაწყოს საყოველთაო გაფიცვა, თუ ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელობა უარს იტყვის დაკმაყოფილოს გაფიცულთა მოთხოვნები.

სიძვირის ზრდა ინგლისში

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის შრომის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ოქტომბერში ინგლისში კვლავ გაძვირდა ცხოვრება.

გაზეთი „დეილი უორკერი" აღნიშნავს, რომ სიძვირის ზრდა აიხსნება ბეკონის, ერბო-კარაქის, მარგარინის, საკვები ცხიმეულის, ყველისა და შაქრის ფასების მომატებით.

პრემიერა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

გუშინ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ვ. გაბესკირიას ახალი პიესა „გაზაფხულის დილა" (რეჟისორი ლ. იოსელიანი, მხატვარი შ. ჩიქოვანი).

როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები: ვ. გოძიაშვილი და პ. კობახიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. კვანტალიანი და ა. გომელაური, მსახიობები: ა. ვერულეიშვილი, ე. ყიფშიძე, ვ. ნინუა, თ. ღამბაშიძე, დ. ჭუთათელაძე, ა. სიხარულიძე და ნ. ჭიტაიშვილი.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

მ. ხერგიანი და შ. მარგიანი— საკავშირო პროფსაბჭოს ჩემპიონები კლდეზე ცოცვაში

მიმდინარე წლის სპორტულ სეზონში ალპინიზმის დარგში ერთ-ერთი საინტერესო მოვლენა იყო შეჯიბრება კლდეზე ცოცვაში საკავშირო პროფსაბჭოს პირველობისათვის. შეჯიბრება ამასწინათ მოეწყო ყირიმში. სპორტის ამ ყველაზე ახალ სახეობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა ჩვენი ქვეყნის 12 სასპორტო საზოგადოება.

ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა საზოგადოება „ისკრას" ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც საკავშირო პროფსაბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა; მეორე ადგილი დაიკავა სასპორტო საზოგადოება „მედიკის" კლდეზე მცოცავთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც „ისკრის" გუნდს ჩამორჩა მხოლოდ რამდენიმე ქულით; მესამე ადგილზე გამოვიდა სასპორტო საზოგადოება „მეტალურგის" ნაკრები გუნდი.

კლდეზე მცოცავ წყვილთა შეჯიბრებაში საკავშირო პროფსაბჭოს 1952 წლის ჩემპიონის სატიტო წოდება მოიპოვეს მ. ხერგიანმა და შ. მარგიანმა. ისინი გამოდიოდნენ სასპორტო საზოგადოება „მეტალურგის" შემადგენლობაში.

პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ვიეტნა შორის კრასნოიარსკელმა ვ. ზირიანოვმა („ისკრა"), ხოლო ქალთა შორის — ე. ფრეიბერგმა („მედიკი").

სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასისათვის

თბილისის ოლქში დამთავრდა სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად ერთმანეთს ეცილებოდა გორის, ხაშურის, დუშეთის, წალკის, კასპის, ქარელის, ახალციხისა და სხვა რაიონების 16 გუნდი.

გათამაშება მიმდინარეობდა ოლიმპიური სისტემით. მერვედი, მეოთხედი და ნახევარფინალური შეხვედრები მოეწყო თბილისის ოლქის სხვადასხვა რაიონებში, ფინალური შეჯიბრება გაიმართა თბილისში ქ. რუსთაველის „მეტალურგისა" და გორის „დინამოს" გუნდებს შორის. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა გორის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

სოლქო შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდს — გორის „დინამოს" გადაეცა გარდამავალი ჯილდო — სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასი. გორის „დინამო" მონაწილეობას მიიღებს ფეხბურთელთა გუნდების რესპუბლიკურ შეჯიბრებაში სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასის მოსაპოვებლად.

ახალი მშენებლობანი

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის № 5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო ახალშენის უბანში შეუდგა სამი სამსართულიანი მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, რის დამთავრებაც გათვალისწინებულია 1954 წლისათვის.

ამ სახლებიდან ერთი განკუთვნილია შუშის ქარხნის, ხოლო ორი—მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის მუშებისათვის.

უნივერმაღის ფიღიალი რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე გაიხსნა თბილისის უნივერმაღის ფილიალი, რომელსაც აქვს ფართო ასორტიმენტის სამრეწველო საქონელი. მაღაზიას აქვს ფართლის, შეკერილი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, ჭურჭლის, ელექტროხელსაწყოების, პარფიუმერიის და სხვა სექციები.

ფილიალის თვიური საქონელბრუნვა 1 მილიონ 209 ათას მანეთს უდრის. მაღაზიაში მყიდველებს მომსახურეობას უწევს 22 მუშაკი.

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

20 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ჩატარდება ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად თემაზე: „კლასთა ბრძოლის მარქსისტულ-ენინური თეორია". ლექტორი დოცენტი ვ. სიგუა.

20 ნოემბერს საღამოს 8 საათზე მოეწყობა ლექცია საქალაქო აქტივისათვის თემაზე: „საბჭოთა კავშირის კოჰუნისტური პარტიის წესდება". ლექტორი დოცენტი პ. თაკელიძე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ბუნებრივი სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-4 ტირაჟისა, რომელიც შედგა 1952 წლის 9 ნოემბერს ქალაქ კურსკში.

მოგება ხვდა ყველა 275 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგებათა რაოდენობა მანეთობით
080081	15*)	1.000	088889	04*)	1.000
080105	1—50	500	088920	1—50	200
080131	49*)	1.000	089008	1—50	200
080139	14*)	1.000	089018	06*)	1.000
080162	49*)	10.000	089154	30*)	1.000
080508	18*)	1.000	089195	07*)	1.000
080805	1—50	200	089427	03*)	1.000
080820	31*)	1.000	089486	1—50	200
081111	23*)	1.000	089662	1—50	200
081244	1—50	500	089714	1—50	500
081298	05*)	10.000	089754	25*)	1.000
081407	1—50	200	089790	35*)	1.000
081496	23*)	1.000	089806	1—50	500
081521	1—50	200	089812	1—50	500
081914	1—50	500	089873	13*)	1.000
081965	20*)	1.000	089887	02*)	1.000
082133	1—50	200	089970	39*)	1.000
082150	39*)	5.000	090013	07*)	1.000
082245	20*)	1.000	090070	1—50	500
082432	22*)	1.000	090090	28*)	1.000
082480	26*)	1.000	090259	14*)	5.000
082643	1—50	500	090523	1—50	200
082768	06*)	10.000	090677	11*)	1.000
082792	40*)	1.000	091255	03*)	1.000
082878	09*)	1.000	091270	05*)	1.000
082936	04*)	1.000	091283	32*)	1.000
082945	1—50	200	091455	1—50	200
083064	05*)	1.000	091550	1—50	200
083137	1—50	500	091663	25*)	1.000
083158	1—50	200	091687	1—50	200
083226	1—50	200	091874	1—50	200
083257	1—50	200	091954	1—50	200
083261	32*)	1.000	091970	1—50	500
083604	25*)	1.000	092006	02*)	10.000
083684	24*)	1.000	092073	1—50	200
083774	1—50	200	092355	24*)	1.000
083797	1—50	500	092633	1—50	500
083870	03*)	1.000	092660	02*)	1.000
083953	12*)	1.000	092755	1—50	200
084073	08*)	1.000	092868	37*)	1.000
084096	19*)	1.000	092914	21*)	1.000
084164	1—50	500	092915	09*)	1.000
084502	16*)	1.000	092988	06*)	1.000
084738	43*)	5.000	093109	1—50	200
084827	36*)	5.000	093203	13*)	1.000
084913	34*)	1.000	093206	12*)	1.000
084945	44*)	5.000	093592	32*)	1.000
084976	39*)	5.000	093716	1—50	200
084982	1—50	500	093776	06*)	1.000
084998	1—50	500	094371	1—50	200
085078	1—50	200	094551	1—50	200
085331	1—50	200	094654	40*)	1.000
085677	1—50	200	094724	20*)	1.000
085713	17*)	1.000	094933	09*)	5.000
085728	1—50	200	095054	46*)	25.000
085744	01*)	1.000	095181	41*)	1.000
085860	40*)	1.000	095186	20*)	1.000
085873	28*)	1.000	095236	35*)	1.000
085880	08*)	1.000	095311	1—50	200
085914	05*)	1.000	095397	1—50	200
086026	49*)	1.000	095962	43*)	1.000
086085	06*)	5.000	096032	04*)	1.000